არამედ ძირითადი ფონდების ექსპლოატაციაში შეყვანის დაჩქარება, მეტადრე იმ მშენებლობებისა, რომელთა დამთავრება ძიმდინარე წელს არ ხერხდება, უფრო გულმოდგინე კონტროლი კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების და სხვა დავალებათა შესრულებისადმი, მიიღონ ღონისძიებანი მოგების ზედიდებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამინაო მშენებლობას, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად და უხარისხოდ აწარმოებენ. ხშირია შემთხვევა, რომ მობინდრე ახალი ბინის მიღებისთანავე იწყებს ამ ბინის კაპიტალურ რემონტს, უხდება თანხების ხარჯვა, მაშინ როცა ამ მშენებლობისათვის მთავრობას მნიშვნელოვანი თანხები აქვს გაღებული. საგეგმო-სამეურნეო კომისიას და დარგობრივ კომისიებს მიიჩნიათ, რომ ასეთი უპასუხისმგებლობა უნდა აღიკვეთოს, დამნაშავეს სამტანი პასუხი მოეთხოვოს.

ვამთავრებთ რა ამით სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ძირითადი საკითხების გაშუქებას, გვინდა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური და საფინანსო რესურსების სრულ მობილიზაციასთან ერთად ამ რესურსების მოჭირნეობით და მიზნობრივად გამოყენებას. სამინისტროებმა და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ არა მარტო რესურსების მობილიზაციის თვალსაზრისით, არამედ ბიუჯეტიდან გამოყოფილი და საკუთარი სახსრების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ გადავიდე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მათზე გათვალისწინებულია 652.193 ათასი მანეთი. ეს ასიგნობანი განაწილებულია შემდეგნაირად:

განათლებაზე — 349.406 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე — 148.229 ათასი მანეთი, ფიზიკურ კულტურაზე — 2 მილიონი მანეთი და სოციალურ უზრუნველყოფაზე, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებზე სახელმწიფო დახმარების ჩათვლით 152.558 ათასი მანეთი. ეს ასიგნობანი შესაძლებლობას იძლევა გავადიდოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ქსელი, მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ფართო განვითარების შესაძლებლობა იქმნება აგრეთვე სამკურნალო ქსელში, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორიც არის სასკოლო ქსელის დატვირთვა. რესპუბლიკაში არიან სკოლები, განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც კლასში ბავშვთა რაოდენობა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტია, რითაც დარღვეულია ჰიგიენური და პედაგოგიური წესები. კლასების მეტად ზადატვირთვის გამო ასეთ სკოლებში მეცადინეობის ნორმალური დონის შენარჩუნება მეტად ძნელია. ამავე დროს ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სკოლები, განსაკუთრებით სოფლად, სადაც კლასების დატვირთვა მეტად მცირეა. ამ მიმართულებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია. მაგრამ აუცილებელია ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლა. იმისათვის, რომ სკოლები ნორმალურად მუშაობდნენ, აუცილებელია კლასში არ იყოს იმაზე მეტი მოსწავლე, ვიდრე ამას ინსტრუქცია ითვალისწინებს.

გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, რესპუბლიკაში მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების კულტურა, ზოგიერთ საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში ადამიანს კვალიფიციურ დახმარების ვერ უწევენ, ჩვენი საავადმყოფოები საკმაოდ ვერ არიან მომარაგებულნი მედიკამენტებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჯანმრთელობის დაცვის ყველა რგოლის მუშაობის ორგანიზაციული ფორმების გაუმჯობესებას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საკმაოდ გამოცდილი კოლექტივები შეძლებენ მათ მუშაობაში არსებულ სიძნელეთა გადალახვას.

ამხანაგო დეპუტატებო! საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ და დარგობრივმა კომისიებმა გულმოდგინედ შეისწავლეს ყველა ძირითადი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან. მათ პირველ ყოვლისა შეამოწმეს დაინგარიშებანი, რომელთა საფუძველზე განსაზღვრულია 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ოდენობა. ამის შედეგად კომისიები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია დადგენილ იქნას ბიუჯეტში დადგენილი შემოსავალთა ოდენობა 3.350 ათასი მანეთით.

ამავე დროს კომისიებმა შეისწავლეს მოთხოვნილებანი, რომლებიც შემოსულია რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროდან, უწყებიდან, ადგილობრივი საბჭოებიდან და ცალკეული დეპუტატებისაგან. ამის შედეგად კომისიები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელია გადიდებულ იქნას ბიუჯეტში დაგეგმილი ხარჯებიც მოცულობა 3.350 ათასი მანეთით, მათ შორის რესპუბლიკური ბიუჯეტით 717 ათასი მანეთის, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტებით — 2633 ათასი მანეთის ოდენობით.

ამ დამატებით ასიგნობათა განაწილება დაწვრილებით ნაჩვენებია ჩვენს დასკვნაში 1969 წლის ბიუჯეტის შესახებ. ეს დასკვნები დარიგებული იქვთ დეპუტატებს.

კომისიებს წინადადება შემოაქვთ ხსენებულ ცვლილებათა გათვალისწინებით საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცდეს 1.163.610 ათასი მანეთის მოცულობით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კომისიებს არ გადაუტვირთია მთელი რიგი საკითხები, ვიდაიდან ეს დამატებით შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიებს საჭიროდ მიიჩნიათ დაეკვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში გაანიხილოს ზოგიერთი ის საკითხი, რომელიც წამოყენებული იყო სესიაზე, მაგრამ ვერ გადაჭრა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ 1969 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ზრდის რეალური და დასაბუთებული პროგრამაა, რომელშიც ასახულია ჩვენი პარტიის ზრუნვა ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა კიდევ უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით არ დაზოგავენ ძალას, რომ მაქსიმალურად შეასრულონ 1969 წლის სახალხო მეურნეობის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

(ტაში).

კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო! 51 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით დაამხეს ჯაბიტალისტებისა და მემამულეთა ძალაუფლება, შექმნეს საკუთარი, ახალი ტიპის სახელმწიფო, საბჭოთა სახელმწიფო.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებში ამბობდა, რომ საბჭოები შეძლებდნენ მშრომელი ხალხის დარაზმვას ძველი, ჩამორჩენილი ქვეყნის სოციალისტურ ქვეყნად გარდაქმნისათვის.

ისტორიამ სავსებით დაადასტურა დიდი ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა.

სახელმწიფოს მართვაში ფართო მასების მონაწილეობა კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყვეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა. მათი საშუალებით დღეს მილიონობით მშრომელი აქტიურად მონაწილეობს სამეურნეო, კულტურული, სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა დეპუტატების საბჭოები წარმატებით წყვეტენ იმ ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დასახეს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სისტემაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მასობრივი რგოლია სასოფლო და სადაბო საბჭოები. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 918 სასოფლო და 50 სადაბო საბჭოა. 1967 წლის 19 მარტს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში არჩეული 48.218 დეპუტატიდან სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატია — 36.523 ანუ 75,8 პროცენტი.

სასოფლო და სადაბო საბჭოებთან შექმნილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საგეგმო-საბიუჯეტო, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საგზაო მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა 5.237 მუდმივი კომისია, რომელთა მუშაობაში ჩაბმულია სასოფლო და სადაბო საბჭოების 33.134 დეპუტატი და საბჭოების 37.356 აქტივისტი.

ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოები არიან და მუშაობენ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობით. ხალხის მასების აქტიური როლი, მათი უწყვეტი კავშირი საბჭოებთან საბჭოების სიძლიერისა და სიმტკიცის ნიშანია.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის თეული ისტორიის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა საბჭოთა ხელისუფლების ძირეული რგოლების — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" ნათქვამია, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები განმტკიცდა შესაფერისი კადრებით. დღეს რესპუბლიკაში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს 968 თავმჯდომარიდან საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს 887 ანუ 92 პროცენტს.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ 1967 წლის 12 აპრილს სპეციალურად განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მდგომარეობისა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი საბჭოების და თელავის რაიონის სასოფლო საბჭოების მუშაობის საკითხები. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას. მარტო უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მოსმენილ იქნა სასოფლო საბჭოებისადმი კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობის საკითხი, თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სადაბო და მახარაძის რაიონის ასკანის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეების ანგარიში და სხვ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიან კურსებს გაივლიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეები. ყველა ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად ხელისუფლების ბევრი ადგილობრივი ორგანო ახლა უფრო სრულად იყენებს თავის უფლებებს სამეურნეო მშენებლობის, საგეგმო, ფინანსური, მიწათსარგებლობის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის და სხვა საკითხების გადაჭრაში. ადგილობრივი საბჭოები ახორციელებენ კონტროლს შრომითი და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებისადმი, იჩენენ სახელმწიფოებრივ მომთხოვნელობას საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ადგილობრივი საბჭოები და მათ გარშემო დარაზმული საბჭოთა აქტივი დაუღალავად და თანმიმდევრულად იბრძვიან წარმოების ამაღლებისათვის, საზოგადოებრივ შრომაში ყველა მშრომელის აქტიურად ჩაბმისათვის.

მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული როდი ნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს მუშაობაში არ ჰქონდეთ ნაკლოვანებანი. ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ ვერ მუშაობს იმ მოთხოვნების დონეზე, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. მთელი რიგი სასოფლო და სადაბო საბჭოები სუსტად ხელმძღვანელობენ მასებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, საკმაოდ არ ზრუნავენ მშრომელთა საარსებო საჭიროებისათვის, ნაკლებ ინიციატივასა და სიმტკიცეს იჩენენ მრეწველობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრავს თავიანთ ადგილს სამეურნეო მშენებლობის საკითხებში, სუსტად ადევნებს თვალყურს ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას, გვერდს უვლის საკოლმეურნეო დემოკრატიული პრინციპების დარღვევის ფაქტებს. ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებით არ ეკიდება ორგანიზაციულ მასობრივ მუშაობას. ამის შედეგად სუსტია დეპუტატების კავშირი ამომრჩევლებთან, დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების ნაწილი სათანადოდ არ არის მობილიზებული საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებამ, ზოგიერთმა ცვლილებამ მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში და იმ ამოცანებმა, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე პარტიამ დაუსახა საბჭოებს, დღის წესრიგში დააყენა ისეთი სრულყოფილი საკანონმდებლო აქტის მიღების საჭიროება, რომელიც ხელს შეუწყობდა საბჭოების როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო საბჭოების მუშაობაში, თვით მათი უფლებების განმსაზღვრელ დებულებაში, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებით, იყო მოძველებები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე არ შეესაბამებოდნენ საბჭოთა მშენებლობის მნიშვნელოვნად გაზრდილ ამოცანებს. ბუნებრივია, რომ ამ ამოცანების გადაჭრა უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს მტკიცე უფლებრივი საფუძვლების დადგენას, რათა სოფლისა და დაბის ხელისუფლების ორგანოებს ექნეთ ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაზრდილ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის.

დღეს ხელთა გვაქვს სრულყოფილი დოკუმენტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულება, „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ" და სანიმუშო დებულება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ", რომლებშიც თეული სიზუსტით არის ასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის მარტის პლენუმის დადგენილებებიდან გამომდინარე მითითებანი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს კანონპროექტი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ. ამ კანონის შედგენისას ვხელმძღვანელობდით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით და ვეყრდნობოდით მის მიერვე მოწონებულ სანიმუშო დებულებას. ამასთან პროექტის შემუშავების დროს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი თავისებურებანი.

რა არის პრინციპულად ახალი კანონპროექტში? როგორია ის ძირითადი დებულებანი, რომლებმაც შემდეგ კანონის ძალა უნდა მოიპოვონ.

უპირველეს ყოვლისა ეს არის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების როლის ამაღლება სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში. კანონის პროექტში ხაზგასმულია, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც იგი ერთგვარად კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მიღებული იქნება მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულების და სხვა ორგანიზაციის, აგრეთვე თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

კანონპროექტი ითვალისწინებს სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებათა გაფართოებას დაგეგმვის დარგში. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ საბჭოები დაამტკიცებენ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებს, მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების შედგენაში, წარადგენენ თავის წინადადებებს ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო გეგმათა პროექტების, კერძოდ, საბინაო მშენებლობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, ადგილობრივი გზების მშენებლობის, ადგილობრივი ნედლეულისა და შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებზე.

მნიშვნელოვნად ფართოვდება სასოფლო და სადაბო საბჭოს უფლებები საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის დარგში. სოფლის და

(დასასრული მე-4 გვ.).

კომუნისტი
მე-8 გვერდი, ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 1968 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ

(დასასრული)

დების ბიუჯეტის დამტკიცების გარდა მათ უფლება ეძლევა ბიუჯეტის სახსრები გადაიტანონ ერთი განყოფილებიდან მეორეში, ერთი მუხლიდან მეორე მუხლში. ეს უფლებები სასოფლო და სადაბო საბჭოს საშუალებას მისცემს ოპერატიულად და რაციონალურად გამოიყენოს სბიუჯეტო ასიგნებანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

სასოფლო და სადაბო საბჭოებს უფლება ეძლევათ ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული თანხები გამოიყენონ საქმეუწყებო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების, მათ შორის სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის შენობათა მშენებლობისა და რემონტისათვის, მათთვის ტრანსპორტის, ინვენტარისა და სხვა მოწყობილობის შესაძენად.

სასოფლო და სადაბო საბჭოს სერიოზული რწმუნებები ეძლევა სოფლის მეურნეობის დარგში: მისი უფლება და მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ კანონმდებლობის დაცვას, სახელმწიფო გეგმების და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას, დაეხმაროს მათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

სასოფლო და სადაბო საბჭო უფლებამოსილია ზემდგომი საბჭოს აღმასკომში წარადგინოს თავისი წინადადებანი და შენიშვნები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესახებ, კონტროლი გაუწიოს ამ წესდების დაცვას. ამავე დროს იგი უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს, თუ როგორ ინახავენ, უვლიან ან რამდენად სწორად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ნაგებობებს. აგრეთვე მინერალურ სასუქებსა და მხამქმიოკატებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კონტროლს უწევს ნათესებისა და ნარგავების დაცვას, აგრეთვე მიწათსარგებლობის შესახებ არსებული კანონმდებლობის დაცვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკარმიდამო ფონდების სწორად გამოყენებას, იღებს გადაწყვეტილებებს, სოფლის და დაბის მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და სხვ.

ხელისუფლების ადგილობრივი ძირეული ორგანოების აღჭურვა ასეთი რწმუნებებით უტყუარი საწინდარია იმისა, რომ განუხრელად გაიზრდება და გაძლიერდება მათი როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოებს მიეიჭათ უფლება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით გადაწყვეტონ საბინაო-კომუნალური მშენებლობის და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტთა რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ერთობლივად გამოყენების საკითხები, აგრეთვე გააერთიანონ მათ მიერ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრები.

მნიშვნელოვნად ფართოვდება სასოფლო და სადაბო საბჭოს უფლებები ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

სასოფლო და სადაბო საბჭოს უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა: საყოველთაო სავალდებულო სწავლების უზრუნველყოფა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელებს. ეს უფლება სასოფლო და სადაბო საბჭოს საშუალებას აძლევს უფრო აქტიური ზემოქმედება მოახდინოს აღნიშნული საწარმოებისა, და დაწესებულებების საქმიანობაზე და ამავე დროს ამაღლებს ზემოაღნიშნული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საბჭოს წინაშე.

ფართოვდება სასოფლო და სადაბო საბჭოს უფლებები შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში. პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად საბჭოები განიხილავენ შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში; კონტროლს გაუწევენ საანსიო კანონმდებლობის დაცვას, საკეთილდღეოების შემთხვევაში მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებსა და მათი ოჯახის წევრებს დიფზარებიან პენსიების დანიშვნაში, ხელი შრომისა და ომის ინვალიდებს, მრავალშვილიან ოჯახებს და მოხუცებულებს— მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

სასოფლო და სადაბო საბჭოს უფლება ეძლევა გაუძღოს სასოფლო და სადაბო საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებები და განკარგულებანი, რომლებიც კანონებს ეწინააღმდეგება; შეაჩეროს კოლმეურნეთა და საბობჭმარებლო საზოგადოების მეპაიეთა კრების, კოლმეურნეობათა და სოფლის კოოპერატივთა გამგეობების გადაწყვეტილებების, აგრეთვე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება, თუ ისინი შეეხება მიწათსარგებლობის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, განაშენიანების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვის საკითხებს და ეწინააღმდეგება კანონებს.

ყველა ამ უფლება-მოვალეობის ჩამოთვლა, რომელიც ენიჭება სასოფლო და სადაბო საბჭოებს, დიდ დროს წაგვართმევდა. ყოველივე ეს დაწვრილებით არის აღნიშნული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონპროექტში „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ", რომელიც თქვენ ხელთ გაქვთ. აუცილებელია ხაზი გავუსვათ მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ძირეული ორგანოები — სასოფლო და სადაბო საბჭოები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ დამოუკიდებლად, მათი გადაწყვეტილებები არ საჭიროებენ დამტკიცებას ,რომელიმე ზემდგომი ორგანოს მიერ.

კანონპროექტზე მუშაობის დროს სასოფლო და სადაბო საბჭოების როლის ამაღლებისა და მათი უფლებების სრულყოფის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოების დემოკრატიული პრინციპების სრულყოფას. ეს გასაგებიც არის, რადგან საბჭო მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს წარმატებით გადაჭრის მაშინ, როცა სრულად და ეფექტურად გამოიყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს, როდესაც საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა წარმართული იქნება საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად. როდესაც საბჭოების მუშაობაში ფართო გავრცელებას ჰპოვებს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, რეგულარული ანგარიშგება დეპუტატებისა ამორჩეველთა წინაშე და აღმასკომებისა საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე.

კანონპროექტის შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის სოციალური, ეკონომიური და სხვა თავისებურებანი. კერძოდ, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აოხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, გარდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობისა, თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელებენ ოეხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს შესახებ, და, შესაბამისად, სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ცნობილია, რომ საქართველოში არის მაღალმთიანი რაიონები, სადაც ჭარბობს ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დამორებული მცირე დასახლებანი. ასეთ საბჭოებში წელიწადში ექვსი სესიის მოწვევა პრაქტიკულად დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ კანონპროექტის ოცდამეხუთე მუხლის მე-3 აბზაცში გფთვალისწინებული, რომ „მთიან რაიონებში, სადაც ჭარბობს წვრილი დასახლებული პუნქტები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით სასოფლო საბჭოს სესია შეიძლება მოწვეულ იქნას წელიწადში ორ ოთხჯერ ექვსის ნაცვლად.

საბჭოს მუშაობის ძირითად ფორმას სესია წარმოადგენს. იგი დეპუტატთა კოლექტიური აზრის და კოლექტიური ნებისყოფის გამომხატველია. სესიაზე დეპუტატებს შეუძლიათ მოაწყონ აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება. ყოველივე ეს, მათ საშუალებას აძლევს თავიანთ სხდომებზე მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეესაბამებიან დღევანდელ პროგრამაში, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოების სესიების როლის ამაღლების შესახებ, რომ საბჭოები სესიებზე უნდა განიხილავდნენ ადგილობრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. კანონპროექტით გათვალისწინებულ ოცდამეათე მუხლში ზუსტად არის განსაზღვრული იმ საკითხების წრე, რომლებიც მხოლოდ სესიაზე უნდა გადაწყდეს.

კანონპროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება დაითხოვონ საბჭოთა მეურნეობიდან, საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გარიცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე არ შეიძლება საბჭოს ტერიტორიიაზე მისცეს ცენზი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაიპატიმრონ, თუ არ იქნება სასოფლო და სადაბო საბჭოს თანხმობა, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოს სესიებს შორის პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი სესიისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიც იგი არჩეულია, თავისუფლდება თავისი საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება ხელფასი ან საშუალო გამომუშავება შუდმეი მუშაობის ადგილს.

კანონპროექტის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანია იმ საკითხთა წრე, რომლებზე სასოფლო და სადაბო საბჭოს გამგებლობაში შედის. მაგრამ ვინც დიდი უფლებებით არის აღჭურვილი, მას ბევრიც მოეთხოვება.

თანამედროვე პირობებში საჭიროა მაღალკვალიფიციური და უაღრესად კონკრეტული ხელმძღვანელობა საქეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი. ეს ხელმძღვანელობა მით უფრო ქმედითი იქნება, რაც უფრო ამაღლდება საბჭოების როლი, რაც უფრო სრულყოფილი გახდება მათი უფლებები და ეფექტურად იქნება ისინი გამოყენებული.

ამ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელება მშრომელთა დეპუტატების როგორც რაიონული, ისე სასოფლო და სადაბო საბჭოებისაგან მოითხოვს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ყველა ფორმისა და მეთოდის სრულყოფას, ხალხის ფართო მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას.

ამხანაგო დეპუტატებო! ქართველი ხალხი, რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინამძღოლობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სკკპ XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ღღითიდღე იზრდება ჩვენი გეგმები. სახეს იცვლის და ძლიერდება სახალხო მეურნეობა. მაღლდება ხალხის კულტურა. მშვენდება და ლამაზდება ქალაქები და სოფლები. ბევრ სოფელში ელჩის ნათურების გარდა ცისფრად ანთებენ ტელევიკონები. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 1.800-ზე მეტ სოფელში გაზიფიცირებულია 98.000-ზე მეტი ბინა.

საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მასებთან მათი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ფართოდ განვითართ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა. ავამუშაოთ ახალი მძლავრი რეზერვები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. უფრო სწრაფად წავიდეთ წინ კომუნისტური მშენებლობის დიადი და სახელოვანი გზით.

ექვი არ არის, რომ ჩვენ საბჭოები, როგორც ყოველთვის, პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, უბრუნველყოფენ რესპუბლიკის მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი ძლიერებისა და აყვავების საქმეში. (ტასი).

გაბრიელ ჯაბუშანური

ხანბრძლივი და მძიმე ... ყოფობის შემდეგ ქართველ ... ზის რიგებს გამოაკლდა ... **გაბრიელ ჯაბუშანური.**

გაბრიელ ლუკას-ძე ჯაბუშანური დაიბადა 1914 წელს ხევსურეთის სოფელ არხოტში. ხევსურმა ბაბუამ საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და 1934 წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. ბავშვობიდანვე ეზიარა იგი პოეზიის მადლს. ჯერ კიდევ ცამეტი წლის ასაკში ბეჭდავდა ლექსებს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, კრებდა და იწერდა ხალხური შემოქმედების შედევრებს.

მეოთხე კურსზე იყო, როცა ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა შობლიურ არხოტში დაბრუნებულიყო, ჯერ მასწავლებლად იმუშავა, შემდეგ სამკითხველო შექმნა სოფელში, მისი გამგეობა თვითონვე იკისრა.

1935 წელს ჟურნალ „ჩვენი თაობის" თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა მისი ლექსი „ცხენი" და ამ ლექსით ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა. აქედან დაიწყო მისი სამწერო გზა. 1940 წელს გამოცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა მისი ლექსების პირველი, კრებული „არაგვიანი". შემდეგ მკითხველი ზედიზედ გაეცნო მისი ლექსებისა და პოემების კრებულებს — „ლექსები", „ნათელი მთაგი", „პატარა მთიელები", „ლირიკა", „მზეთა ქვეყანა", „მაღალი მთვარე", „ჩრდილი და მზეკარე", „მოკრძალება", „რჩეული" და სხვ.

გაბრიელ ჯაბუშანური კარგად იცნობდა ქართველი და რუსი პოეტების შემოქმედებას, მსოფლიო პოეზიის ღირსშესანიშნავ ძეგლებს და, ამავე დროს, ხალხური პოეტური ფოლკლორის სათავეებთან ეძიებდა თავისი ლექსის გამარჯვების გასაღებს. იგი განსაკუთრებული სიყვარულით იყო ანთებული ალა-ფშაველის და ალექსანდრე ყაზბეგის პოეტური სამყაროსადმი.

გაბრიელ ჯაბუშანურის მთელი შემოქმედება სიყვარულში, სამშობლოსათვის თავგანწირვისა და მის ვაჟკაცურ სამსახურში ჰპოვებს თავის სათავეს, თავის საზრდოს.

დედა სამშობლოვ, შენი
კარნახით
და ჩემი გულის ძახილის
ძალით, —
მე მივალ, ცათა კიდე
დავლახო...
მზად ვარ:
მოძმისთვის ცხრა ცა
გადავვლო,
ბრძანე და ცეცხლსაც
მოვტაცებ ზეცისა,
ოღონდ გამოდგეს ჩემი
ნადავლი
ხანთლად, ხითბოდ და
სულისთვის ხემსად.

გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსები „ორწყალა", „არაგვი — ჩემი გული", „მშვიდობით", „მწყემსები", „სათხოვარი არაგვისადმი", „ახალ-უხლები", „რიერაქის ვარსკვლავები", „მსოფლიო რუკა" ქართული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო შენაძენია.

ბევრი პოეტური ჩანაფიქრი, ბევრი განუხორციელებელი ოცნება თან წაიღო ჩვენგან უდროოდ წასულმა შემოქმედმა, ენერგიითა და პოეტური ძალოვნით აღსავსეს კიდევ ბევრი სიხარულის მოტანა შეეძლო თავისი მკითხველისათვის, რომლის გულში დიდხანს არ განელდება მისი ნათელი პოეზიის სიყვარული.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

მიფრინავს „ალოლონ-8"

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკადესი). დღეს 18 საათზე მოსკოვის დროით ამერიკის კოსმოსური ხომალდი „ალოლონ-8" მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიიდან გადავიდა ელიფსურ სელენოცენტრულ (მთვარისირგვლივ) ორბიტაზე.

ორბიტის პარამეტრები გაანგარიშებულს უახლოვდება. პერისელენის (მინიმალური მანძილი მთვარის ზედაპირიდან) სიმაღლე შეადგენდა 112 კილომეტრს, აპოსელენის (მაქსიმალური მანძილი მთვარის ზედაპირიდან) სიმაღლე — 312 კილომეტრს.

ხომალდმა ამ ორბიტით მთვარის ორჯერ შემოუარა და 17 საათსა და 22 წუთზე გავიდა თითქმის წრიულ ორბიტაზე, ფრენის საშუალო სიმაღლე მთვარის ზედაპირის თავზე დაახლოებით 118 კილომეტრი იყო. ხვალ, 25 დეკემბერს, პროგრამით გათვალისწინებულია ხომალდი გადავიდეს დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე. დღეს მოეწყო ტელევიზიის სეანსი ელიფსური ორბიტიდან.

ჯეიმს ლოველმა, რომელმაც გადმოსცა თავისი შთაბეჭდილებანი მთვარის დაკვირვების შესახებ, თქვა, რომ მისი ზედაპირი უპირატესად ნაცრისფერია და მოგვაგონებს „ზღვის პლაჟის" მონაცრისფერ ქვიშას". როგორც ლოველმა თქვა, მან ნახა საკმაოდ ბევრი „სრულად მრგვალი კრატერი", ერთ-ერთ დიდ კრატერზე მან დაფვრილებით ილაპარაკა, აღნიშნა, რომ მისი ფერდობები ტრასებს ჰგავს.

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. (საკადესი). დღეს 9 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდი „ალოლონ-8" გავიდა მთვარე-დედამიწის ტრაექტორიაზე. ეს მანევრი განახორციელეს სამარშო ძრავის საშუალებით, რომელიც დაახლოებით 200 წამს იმუშავა.

მთვარე-დედამიწის ტრაექტორიაზე გასვლამდე ხომალდმა ორჯერ შემოუარა მთვარეს ელიფსური და 8-ჯერ წრიული ორბიტით. მოაწყეს ორი ხაფანგი ეფექტიანი ხეანსი, რომლის დროს კოსმონავტები კომენტარს უკეთებდნენ მთვარის ზედაპირის გადმოცემულ გამოსახულებას. კოსმონავტები აწარმოებდნენ მთვარის ორივე მხარის დაკვირვებას და ფოტოგრაფირებას. სპეციალისტ სელენოლოგთა თხოვნით კოსმონავტები აღწერდნენ მთვარის ზედაპირის მეცნიერულად ყველაზე საინტერესო მახასიათებლებს.

მთვარის დაგეგმილი დაკვირვება რამდენადმე შეამცირეს კოსმონავტების გადაღლის გამო.

„სასახლეში დესანტი" იოკოსუკაში

ტოკიო, 25 დეკემბერი. (საკადესი). 15 ათასი ამერიკელი მეზღვაური გადახტეს იაპონიის იოკოსუკის ნავსადგურში. ისინი გუშინ ჩამოვიდნენ ამერიკის მე-7 ფლოტის 30 სამხედრო ხომალდით, რათა საშობაო დღესასწაულზე „დასვენონ" იაპონიაში. როგორც ცნობილია, მე-7 ფლოტი მონაწილეობას იღებს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

სპორტი

რამდენიმე სტრიქონით

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასზე „ფორვერტსთან" მატჩის მოგების შემდეგ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი ტარტუს ენვი და აქ საკავშირო პირველობის მეშვიდე ტურის მატჩში შეხვდა „კალევს". წარმატება დამატებით დროში „კალევს" ხვდა ანგარიშით 87:79 (68:68), 39:32). გუშინ ცსკა მეორეჯერ დამარცხდა „კალევთან" მატჩში, ამჯერად 61:70.

ზედიზედ ორი მატჩის მოგების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოლთერთელ ქალთა გუნდს მოსკოვში პაექრობა ჰქონდა ლენინგრადის „სპარტაკთან" და დამარცხდა 41:61 (16:28).

ჰაბრპაბ. საზეიმოდ დაიხურა ჩვენი ქვეყნის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. აი საბოლოო შედეგები: „ბურევესტნიკი" — 78 ქულა, ცსკა — 72,5, „სპარტაკი" — 67, „ტრუდი" — 61, „ავანგარდი" — 60, „ლოკომოტივი" — 53, „დაუვაკა" — 51,5, „კალევი" — 48,5, „დინამო" და „მოლდოვა" — 47-47, „ფლეგირისი" — 42, „ოქტი" — 33,5 ქულა. პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი (10-დან 6,5 ქულა) აქვს შმპინს, მეორე და მესამე დაფებზე — სუმბინსა და ბოლესლავსკის.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბაშრინდაშვილმა 8,5 ქულა შეაგროვა 11-დან.

სპორტული წლის ლაურეატები

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ მოწყობილ ჟურნალისტთა წინასაახალწლო ტრადიციული გამოკითხვის შედეგად რესპუბლიკის № 1 სპორტსმენად აღიარებულ იქნა **ვ. სანეევი** — ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი სამმაგ ხტომაში.

უძლიერესთა ათეულში შევიდნენ **რ. რურუა, შ. ლომიძე, დ. შანიძე, ნ. ალექსანდრია, მ. ხუციკლავა, ზ. საკანდელიძე, ს. მეტრეველი, თ. ლეკვეიშვილი, ო. ფხაკაძე.**

ა. წ. 26 დეკემბერს მოწვეულია საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის II პლენუმი.

დღის წესრიგი:

„ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ".

პლენუმი გაიხსნება დილის 11 საათზე საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის შენობაში (ლენინის, 35), ტელეფონები: 99-00-83; 99-00-35; 93-12-93.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის მაისში შედგა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულებანი, რომლებიც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა განიხილოს და დამტკიცოს უმაღლესმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ნება მომეცით მოგახსენოთ ამ ბრძანებულებათა შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით საქართველოს სსრ ხეტიოს, ცილულოზა-ქაღალდისა და ბისადმოშავებელი მრეწველობის სამინისტროო ჯარდაქნა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ, ხოლო 1968 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით სახელი გადაერქვა საქართველოს სსრ საბავშვოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და ეწოდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ სასამართლო-საექსპერტო ბიუროს ბაზაზე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს ბაზაზე, ეკონომიკურ ექსპერტიზა-ანალ